ბათუმის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი
საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-03/10
28.06.2024

10--4-202406281732

ბრძანება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“- ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის, ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^{10}-ე მუხლის მე-7 პუნქტის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდეგში - ,,მაუწყებელი“) დებულების მე-8 მუხლის, ,,მაუწყებელში სტაჟირების გავლის დებულების დამტკიცების შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის 2016 წლის 09 მარტის N02-03/10 ბრძანების, ,,მაუწყებელში დასაქმებული პირების მიმართ დისციპლინური წარმოების წესისა და მაუწყებლის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 03 აგვისტოს N02-03/13 ბრძანების, ,,პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ” მაუწყებლის დირექტორის 2023 წლის 07 მარტის N 02-03/10 ბრძანებისა და იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსის 2024 წლის 04 ივნისის №02-26/1505 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მაუწყებლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ წინამდებარე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება გაცნობისა და აღსრულების მიზნით დაეგზავნოს მაუწყებლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეებსა და მაუწყებლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
3. მაუწყებლის ონლაინ მედიის სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მაუწყებლის ვებგვერდზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ვლადიმერ ტატიშვილი

დირექტორი